

შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1735800	1508327	916499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1441162	763734	1323762
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	756864	87401
მარაგები	247	247	35245
სხვა	247	247	35245
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	9245	11637	1612
სულ აქტივები	3186454	3040809	2364519
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	273142	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	273142	0	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	3759	3759	3759
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2909553	3037050	2360760
სულ საკუთარი კაპიტალი	2913312	3040809	2364519
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3186454	3040809	2364519
სულ მოკლევადიანი აქტივები	3177209	3029172	2362907
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	3386934	2535960
საქონლის გაყიდვიდან	3386934	2535960
გაყიდვების თვითღირებულება	-2937805	-1704286
საერთო მოგება	449129	831674
დასაქმებულთა ანაზღაურება	-382628	-237941
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2392	-323
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-185394	-35932
სულ საოპერაციო ხარჯები	-570414	-274196
საოპერაციო მოგება	-121285	557478
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-6212	118812
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-127497	676290
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-127497	676290
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-127497	676290
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3040809	2364519
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2913312	3040809

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024	31.12.2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ.	227473	608476
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	227473	608476
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-16648
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1508327	916499
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1735800	1508327

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„ნექსტრა გრუპი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 24 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 402049476.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, იროდიონ ევდოშვილის ქუჩა, N18, სართული 2, საოფისე ფართი N3. კომპანიის 40%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. ლელა ლუდუშაური (პ.ნ. 01006016392); კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. დავითი გორდაძე (პ.ნ. 01030030436).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

2.2) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

2.3) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.4) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.5) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.6) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.7) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.8) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

